ნინო კიღურაძე, გიორგი სანიკიძე, ლევან გორდეზიანი,
გიორგი ოთხმეზური, ლალი ფირცხალავა

ისტორია

10

მოსწავლის წიგნი

გრიფი მიენიჭა ს.ს.ი.პ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
(ბრძანება N 375, 18.05.2012).

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სარჩევი

14

33

39

41

65

74

83

86

95

ისტორიის მეცნიერება

I თავი

1. ისტორიის საგანი. პროფესია – ისტორიკოსი 6
2. ისტორიის ქრონოლოგია. კალენდარი 11
3. წელთაღრიცხვის სისტემები 18
4. ისტორიის პერიოდიზაციის სათავეებთან. პერიოდიზაციის პტოლემაიოსის სისტემა 22
5. მსოფლიო ისტორიის „ოთხ სამეფოდ“ დაყოფა. პერიოდიზაციის სამწევროვანი სისტემა 28
6. მარქსისტული პერიოდიზაცია. პერიოდიზაცია ცივილიზაციების მიხედვით 31
7. საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია 36
8. წყაროთმცოდნეობა 39
9. არქეოლოგია 45
10. ეთნოლოგია 50
11. ისტორიული გეოგრაფია და ისტორიული კარტოგრაფია 54
12. პალეოგრაფია 61
13. ნუმიზმატიკა და ბონისტიკა 65
14. ჰერალდიკა 72
15. გენეალოგია 78
16. სფრაგისტიკა 82
17. ვექსილოლოგია 85
18. ისტორია და ინფორმატიკა 89

ისტორიის მეცნიერების ისტორია

II თავი

19. ისტორიული შინაარსის უძველესი ტექსტები 92
20. ძველბერძნული ისტორიოგრაფია. ჰეროდოტე. თუკიდიდე 95
21. ძველბერძნული ისტორიოგრაფია. ქსენოფონტი. პოლიბიოსი. სტრაბონი 99
22. რომაული ისტორიოგრაფია. იულიუს კეისარი. ტიტუს ლივიუსი. კორნელიუს ტაციტუსი 102
23. რომაული ისტორიოგრაფია. პლუტარქე და სვეტონიუსი – ბიოგრაფიული თხზულებანი. ამიანე მარცელინე 105
24. ბიზანტიური ისტორიოგრაფია. ევსები, გელასი და პროკოპი კესარიელები. აგათია სქოლასტიკოსი 109

25. ბიზანტიური ისტორიოგრაფია.კონსტანტინე პორფიროგენეტი და ანა კომნენე – გვირგვინოსანი ისტორიკოსები. მიქაელ პანარეტოსი 113
26. ფეოდალური ხანის სომხური ისტორიოგრაფია 116
27. ქართული ისტორიოგრაფია. „ქართლის ცხოვრება“ 122
28. „ახალი ქართლის ცხოვრება“ 127
29. გვიანი შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია (XVII-XVIII). ფარსადან გორგიჯანიძე 132
30. გვიანი შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია (XVII-XVIII). ვახუშტი ბაგრატიონი 135
31. გვიანი შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია (XVII-XVIII). სეხნია ჩხეიძე. პაპუნა ორბელიანი. ომან ხერხეულიძე 139
32. XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია 143
33. XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია 150
34. საქართველოს ისტორიის კვლევა XX საუკუნეში 158
35. შუა საუკუნეების ევროპული ისტორიული მწერლობა. გრიგოლ ტურელი 162
36. შუა საუკუნეების ევროპული ისტორიული მწერლობა. ბედა პატივდებული. აინჰარდი 166
37. შუა საუკუნეების მუსლიმური ისტორიული მწერლობა 172
38. პირველი ჰუმანისტი ისტორიკოსები. ფრანჩესკო პეტრარკა. ლორენცო ვალა 177
39. პოლიტიკური ისტორია. ნიკოლო მაკიაველი. ფრანჩესკო გვიჩარდინი 181
40. რენესანსული ისტორიული აზრის განვითარება ევროპაში. ჟან ბოდენი. ფრენსის ბეკონი 188
41. მოგზაურთა ჩანაწერები. ქართველ მოგზაურთა ჩანაწერები 192
42. შუა საუკუნეების მოგზაურთა ჩანაწერები. პლანო კარპინი, მარკო პოლო, იბნ ბატუტა 195
43. ახალი დროის ევროპელი მოგზაურები. კასტელი. შარდენი. გიულდენშტენდტი 199
44. XVIII საუკუნის ევროპული ისტორიული მწერლობა. ჯამბატისტა ვიკო 204
45. XVIII საუკუნის ევროპული ისტორიული მწერლობა. ფრანგი განმანათლებლები. ვოლტერი. მონტესკიე 208

118

135

144


150

154


168

172

188

204

46. XVIII საუკუნის ევროპული ისტორიული მწერლობა. „შოტლანდიური განმანათლებლობა.“ დევიდ იუმი 213
47. XIX საუკუნის ევროპული ისტორიული მწერლობა. გერმანელი ისტორიკოსები – რანკე. მომზენი. დროიზენი 216
48. XIX საუკუნის პოზიტივისტი ისტორიკოსები. იპოლიტ ტენი 221
49. ისტორიის მეცნიერება XX საუკუნეში. პოზიტივიზმის კრიტიკა. რობინ ჯორჯ კოლინგვუდი. ბენედეტო კროჩე 225
50. ანალების სკოლა 229

213

219

229

როგორ ვსწავლობთ და გადმოვცემთ ისტორიას

III თავი

51. პირველადი და მეორეული წყაროები. წყაროების კრიტიკა 232
52. წყაროების ინტერპრეტაცია 235
53. მუშაობა სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (პრაქტიკული სამუშაო) 239
54. მუშაობა სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (პრაქტიკული სამუშაო) 244
55. მუშაობა სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (პრაქტიკული სამუშაო) 247
56. მუშაობა სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (პრაქტიკული სამუშაო) 250
57. ზეპირი ისტორია – მეთოდიკა და წყარო (პრაქტიკული სამუშაო) 253
58. კვლევის დაგეგმვა, წარმართვა და მისი ეტაპები 255
59. ბიბლიოთეკებსა და არქივებში მუშაობა 258
60. წიგნზე მუშაობა 262
61. ისტორიული მასალა ინტერნეტში 264
62. როგორ იწერება ისტორიული ნაშრომი 267
63. ნაშრომის ენა და ფორმა 269
64. ციტირება. ბიბლიოგრაფია 272
65. სქოლიო 275

237

242

251

259

265

274

1. ისტორიის საგანი. პროფესია – ისტორიკოსი

„რა საჭიროა ისტორია?“ – ჰკითხა ერთხელ შვილმა XX საუკუნის ცნობილ ფრანგ ისტორიკოსს მარკ ბლოკს. პასუხის ძიებაში მამამ მთელი წიგნი დაწერა, რომელმაც მას საყოველთაო აღიარება მოუტანა.

მარკ ბლოკმა ისტორია განმარტა, როგორც „მეცნიერება ადამიანების შესახებ დროში“, ხოლო ისტორიკოსი ზღაპრულ კაციჭამიას შეადარა, რომელიც ყოველთვის იქაა, სადაც „ადამიანის სუნი სცემს“.

XX საუკუნის კიდევ ერთმა, არანაკლებ ცნობილმა ისტორიკოსმა და ისტორიის ფილოსოფოსმა, ინგლისელმა რობინ ჯორჯ კოლინგვუდმა კი ასე განავრცო მარკ ბლოკის განმარტება: „ისტორია, ანუ ადამიანის ქმედებანი წარსულში, ესაა მხოლოდ გონიერ

წყარო 1

,,ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა...

ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულობას, მის აზრს და საგანს არსებობისას, მის წმიდათა-წმიდას, და რომელიცა მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის... ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს დროში, და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა.

თუ ესეთი არა, ბევრი მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისთვის საჭიდაოდ... ფეხ-ქვეშიდამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად...

რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია...

იგია მთხრობელი მისი თუ — რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც‘‘.

ილია

მოქმედ პირთა მიერ ჩადენილი საქმეები, გონებით ნაკარნახევი მიზნების მისაღწევად.“ ამრიგად, ისტორიის შესწავლის საგანი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: „ისტორია სწავლობს ადამიანების გააზრებულ ქმედებებს წარსულში“, ანუ მეცნიერება ისტორია შეისწავლის კაცობრიობის წარსულს. ამის დაზუსტება აუცილებელია იმიტომ, რომ წარსული და შესაბამისად, განვითარების ისტორია აქვთ, მაგალითად, ცხოველებსაც და დედამიწასაც. მაგრამ „ზოოლოგიურ პერიოდებსა“ თუ „გეოლოგიურ ხანებს“ სულ სხვა მეცნიერებები იკვლევენ, ისევე, როგორც „გონიერი ადამიანის“ გამოჩენამდე, წარსული არაა ისტორიის მეცნიერების საგანი. სწორედ ამიტომ, ამ ხანას „პრეისტორიულს“, ანუ წინარეისტორიულს უწოდებენ, ხოლო მაგალითად, დმანისში აღმოჩენილ „ზეზვასა და მზიას“ ადამიანებს კი არა – ჰომინიდებს.

დღეისათვის ისტორიის კვლევა წარსულის კვლევასთანაა გაიგივებული. მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო; ისტორიამ წარსული კვლევის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში ისტორიული აზრისა და მწერლობის განვითარებასთან ერთად შეიძინა. თავდაპირველად, თვით ბერძნულ სიტყვას – „ისტორია“ სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენამდე მოღწეული ტექსტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჯერ ჩნდება არა სიტყვა „**ისტორია**“, არამედ სიტყვა „**ისტორ**“ – „ისტორიკოსი“. „ისტორად“ ამა თუ იმ ცნობების შემგროვებელი, შემსწავლელი, შემფასებელი და მთხრობელი იწოდებოდა. მაგალითად, ჰომეროსთან „ისტორი“ მომრიგებელი მოსამართლეა, ანუ ადამიანი, ვინც უსმენს მოწმეებს, აფასებს მტკიცებულებებს, განსჯის და ასკვნის სად არის ჭეშმარიტება და სად – სიცრუე. პლატონთან კი „ისტორი“ – „გათვითცნობიერებულს“, „მცოდნეს“ ნიშნავს. ამასთანავე, „ისტორიდან“ წარმომდგარი სიტყვა „ისტორია“ „შემეცნებისა“ და „კვლევის“ მნიშვნელობას იძენს. სწორედ ასე ესმის სიტყვა „ისტორია“ „ისტორიის მამად“ წოდებულ ჰეროდოტესაც. გადმოცემის თანახმად, თავად ჰეროდოტე საკუთარ ნაწარმოებს „მუზებს“ უწოდებდა.

წყარო 2

,,ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს... თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა, ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი გაეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ საყოფია ხოლმე ერთი რამე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულოვნებამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო‘‘.

ილია

წყარო 3

,,ილია ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. ქართველებსაც, თუ წარმატებული არსებობა სურდათ, ეს დებულება უნდა კარგად ჰქონოდათ შეგნებული‘‘.

ივ. ჯავახიშვილი

ამ გადმოცემის საფუძველზე, ძვ.წ. III საუკუნეში ალექსანდრიელმა „გამომცემლებმა“ ჰეროდოტეს ნაშრომი ცხრა თავად დაყვეს, თითოეულს თითო მუზის სახელი მიაწერეს და მას „ისტორიათა ცხრა წიგნი“ უწოდეს. მაგრამ ბერძნულ-რომაულ კულტურაში „ისტორია“ სულაც არ ნიშნავდა მაინცადამაინც წარსულის შესწავლას. მაგალითად, თუკიდიდე, უპირველეს ყოვლისა, თავის თანამედროვე მოვლენებს აღწერდა. ზუსტად ასევე პოლიბიოსიც ძირითადად თავისი ცხოვრების მანძილზე მომხდარ მოვლენებს გადმოსცემდა. ანტიკური ისტორიული მწერლობის მკვლევრები ხშირად აღნიშნავენ, რომ პოლიბიოსის „პრაგმატული“ ისტორია მის კვლევის მეთოდს კი არა, „თანამედროვე ისტორიას“ აღნიშნავს, ანუ ისტორიას, რომელიც მოგვითხრობს თანამედროვე ამბებს და არა გარდასულ დღეთა შესახებ.

ანტიკურ ავტორთა შორის, ისტორიის საგნის მიმართ მათი დამოკიდებულების მხრივ, ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ციცერონი (ძვ.წ. 106-43) მივიჩნიოთ მისი ერთი შენიშვნის გამო, რომ „ისტორია ეხება საქმეებს, რომლებიც სცილდება ჩვენს დროს“. მაგრამ იგივე ციცერონი თავის ერთ-ერთ „დიალოგში“ განმარტავს, რომ კარგია, თუ ისტორიის თხრობას დაიწყებ შორეულ წარსულში მომხდარი მოვლენებით, რადგან ისინი ისეა აღწერილი, რომ ვერც კი წაიკითხავ. მაგრამ მაინც უმჯობესია გადმოსცე თანამედროვე მოვლენები, რომელთა თანამონაწილეც თავად ხარ.

ისტორიის, როგორც თანამედროვე მოვლენების თხრობის გაგება, შუა საუკუნეებშიც შენარჩუნდა. შუა საუკუნეების ევროპულ ქრონიკებში ძირითადად ავტორის თანამედროვე მოვლენებია აღწერილი. ქრონიკების წერის კანონი მოითხოვდა ქრონისტისგან თხრობის მიყვანას „მწერლის დრომდე“. როგორც XII საუკუნის ერთ-ერთი ევროპელი ავტორი აღნიშნავდა, „საეკლესიო მწერლები“ (ოროზიუსი, ბედა პატივდებული და ბევრი სხვა) ესწრაფოდნენ „გადაეცათ მომავალი თაობებისთვის თავიანთი თანამედროვეების საქმენი“.

ევროპულ ისტორიულ მწერლობაში ისტორია წარსულის კვლევას პირველად და ცალსახად, XV-XVI საუკუნეებში, აღორძინების ეპოქაში დაუკავშირდა. ფრანგმა მეცნიერმა ჟან ბოდენმა მკაფიოდ განმარტა ისტორია, „როგორც დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ადამიანების საქმიანობას, ნათლად აღწერილს მოთხრობებში გარდასულ დღეთა შესახებ“.

წყარო 4

ერთ-ერთი ტელეარხის
ისტორიული გადაცემის ტიხარი

წყარო 5

,,ისტორიის კვლევის მიზანი იგივეა, რაც [სხვა მეცნიერებებისა]: გააუმჯობესოს ადამიანის მიერ გარემოს გაგება და მისცეს მას გარემოს ათვისების საშუალება. ისტორიკოსის როლია, გამოიყენოს წარსულის გაგება მომავალზე კონტროლის მოსაპოვებლად‘‘.

ე.ჰ. კარი (1892-1982), ინგლისელი ისტორიკოსი და საერთაშორისო ურთიერთობათმცოდნე

XVII-XVIII საუკუნეების ევროპაში ისტორია მხოლოდ წარსულის შემსწავლელი მეცნიერებიდან ისევ ერთგვარ „საზოგადოებათმცოდნეობამდე“ ფართოვდება. ისტორიკოსებს შეეძლოთ ეკვლიათ როგორც წარსული, ისე მათი თანამედროვე საზოგადოება.

XIX საუკუნის ევროპაში იწყება ისტორიის პროფესიონალიზაცია, ანუ იქმნება ისტორიის კვლევის მეცნიერული მეთოდი და იწყება მისი მეშვეობით ისტორიის მეცნიერულად კვლევა. ამას გარდა, ისტორია დამოუკიდებელ აკადემიურ დარგად ყალიბდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპის სკოლებსა და უნივერსიტეტებში იწყება ისტორიის, როგორც დამოუკიდებელი საგნის, სწავლება და ამ საქმეს საგანგებოდ შერჩეული, ისტორიის დარგში დახელოვნებული მასწავლებელი უძღვება. საშუალო სკოლების (ლიცეუმების) სასწავლო პროგრამაში საგანი „ისტორია“ პირველად ნაპოლეონ ბონაპარტის დროს შეიტანეს. ამრიგად, ისტორიის კვლევა და ისტორიის სწავლება პროფესიად XIX საუკუნეში იქცა.

დროთა განმავლობაში შეიცვალა არა მხოლოდ ისტორიის რაობის გაგება, არამედ ისტორიის კვლევის დანიშნულების ხედვაც. პასუხები შეკითხვაზე, თუ რატომ ვსწავლობთ ისტორიას, მეტად მრავალფეროვანია და იწყება ციცერონის ცნობილი გამონათქვამიდან – „ისტორია ცხოვრების მასწავლებელია“, რ.ჯ. კოლინგვუდის განმარტებამდე, რომ „ისტორიის ცოდნა აუცილებელია თვითშემეცნებისთვის“.

წყარო 6

,,ისტორია იწერება არა სმენის საამებლად, არამედ სიმართლის სათქმელად... და სასარგებლოა მათთვის, ვისაც სურს, ნათლად შეიცნოს მომხდარი და ამით მომავალიც, რომელიც, ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, ისეთივე ან მსგავსი იქნება.‘‘

თუკიდიდე
(ძვ.წ. 460-400),
ისტორიის ერთ-ერთი დიდი
ბერძენი მამა

წყარო 7

,,მართალი ისტორიის შესწავლიდან მოპოვებული ცოდნა საუკეთესო განათლებაა პრაქტიკული ცხოვრებისათვის.‘‘

ბერძენი ისტორიკოსი პოლიბიოსი
(ძვ.წ. 200-118)

წყარო 8

,,მაშინ, როცა ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით პოლიტიკოსები, ცდილობენ მიიღონ გაკვეთილი ისტორიისაგან, თავად ისტორია ... აჩვენებს, რომ მის გაკვეთილთაგან მხოლოდ ძალიან ცოტა თუ იყო სწორი. დრომ და თვითონ ისტორიამ დაამტკიცა, რომ ის მომავლის მეტად ცუდი წინასწარმეტყველია. ეს იმიტომ, რომ ისტორია არასდროს მეორდება. ადამიანთა საზოგადოებაში, ისტორიის მთავარ საკვლევ სფეროში, არაფერი ხდება ორჯერ ზუსტად იმავე პირობებში ან ზუსტად იმავე გზით... მომავლის წინასწარმეტყველების მცდელობა ყოველთვის დიდი შეცდომაა ისტორიკოსის მხრიდან. ცხოვრება... უბრალოდ მეტად გადატვირთულია სიურპრიზებით.‘‘

თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსი ევანსი

ისტორიის შესწავლის ამ უკანასკნელ მიზანზე დღეს არავინ დაობს, მათ შორის არც ჩვენ, ქართველები. ჩვენ არ ვივიწყებთ ილიას სიტყვებს: „ისტორია... იგია მთხრობელი მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“.

წყარო 9

,,იცხოვრებ [ფრანგი კაცი] ერთი წლის მანძილზე ლონდონში და ცოტა რამეს თუ ისწავლი ინგლისის შესახებ. სამაგიეროდ, ბევრს გაიგებ საფრანგეთზე და ეს იმიტომ, რომ შენ დისტანცირებული ხარ [საფრანგეთისაგან]. წარსული და აწმყო ერთმანეთს შუქს ჰფენს. ასე რომ, ისტორია იმდენადვე ეხება აწმყოს, რამდენადაც წარსულს.''

ფრანგი ისტორიკოსი ბროდელი (1902-1985),
,,ანალების სკოლის'' ერთ-ერთი ფუძემდებელი

კლასში სამუშაო

1. დააკვირდით წყარო 4-ს. თქვენი აზრით, რატომ შეიქმნა ერთ-ერთი ტელეარხის ისტორიული გადაცემისთვის ასეთი ტიხარი? პარაგრაფში მოცემული წყაროებიდან, რომელს მოიშველიებდით თქვენი პასუხის დასასაბუთებლად?
2. დაიყავით სამ ჯგუფად. პარაგრაფში მოცემულ წყაროებზე და ისტორიასთან „შეხვედრის“ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით:
   - ერთ ჯგუფში იმსჯელეთ საკითხზე: „ისტორიის ცოდნა აუცილებელია აწმყოს გასაგებად“;
   - მეორეში: „წარსულის ცოდნა აუცილებელია საკუთარი თავის უკეთ შესაცნობად“;
   - მესამე ჯგუფში გაერთიანდით პირველი ორი ჯგუფის „ოპონენტები“.
3. ჯგუფში ერთობლივად მოფიქრებული და შეჯერებული არგუმენტების დახმარებით შეეცადეთ, უარყოთ ორი დანარჩენი ჯგუფის მტკიცებები.
4. ყოველი ჯგუფიდან აირჩიეთ ერთი წევრი – მომხსენებელი, ვინც გააცნობს დანარჩენ ჯგუფებსა და მასწავლებელს ჯგუფური განხილვის შედეგებს.

საშინაო დავალება

1. პარაგრაფის ტექსტსა და წყაროებზე დაყრდნობით წერილობით გაეცით პასუხი შეკითხვას: რატომ ვსწავლობთ ისტორიას?

2. ისტორიის ქრონოლოგია. კალენდარი

დროის გაზომვის აუცილებლობა კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე გაჩნდა. პირველყოფილი ადამიანები ბუნების სხვადასხვა მოვლენის მოწმენი იყვნენ: დღისა და ღამის, წელიწადის დროთა მონაცვლეობის, მთვარის ფორმის ცვლილების და სხვ. თანდათანობით ადამიანებმა ამ ცვლილებებში გარკვეული კანონზომიერებები აღმოაჩინეს და დაიწყეს დროის სხვადასხვა მონაკვეთის გაზომვა.

ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ხალხმა არაერთი **კალენდარი** ანუ დროის ხანგრძლივი მონაკვეთების დათვლის სისტემა შექმნა.

დამწერლობის შექმნამდე დღეებს ითვლიდნენ ჯოხებზე პირობითი ნიშნების ამოტვიფრით ან სპეციალურ ტყავზე ნასკვების გაკეთებით. ამგვარად, დაიანგარიშეს, თუ რამდენი „ნასკვის“ შემდეგ დგებოდა, მაგალითად, ზაფხული. ასეთ „ნასკვების“ კალენდრებს დღემდე ხმარობენ ზოგიერთ აფრიკულ ტომში.

წლის დასაწყისს სხვადასხვაგვარად საზღვრავდნენ. ეს ყოველთვის დაკავშირებული იყო ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მომენტთან და მეტად თვალსაჩინო ბუნებრივ მოვლენასთან. ძირითადად, ეს წელიწადის რომელიმე დროის დასაწყისს ემთხვეოდა.

მთვარის კალენდარი

ძველი დროის ადამიანებმა თანდათანობით ყურადღება მიაქციეს იმ მოვლენას, რომ მთვარე პერიოდულად იცვლიდა ფორმას (სავსე მთვარე, ნახევარმთვარე და ა.შ.). მთვარის ფორმის ამ ცვლილებებს ეწოდება **მთვარის ფაზები**. ორ ერთნაირ ფაზას შორის დრო თავდაპირველად განისაზღვრებოდა 30 დღით (სინამდვილეში, ეს დრო დაახლ. 29,5 დღეს მოიცავს). ამგვარად შეიქმნა დღე-ღამეზე უფრო დიდი დროის მონაკვეთი – მთვარის თვე. მთვარის წელიწადი ჩვეულებრივ 354 დღისგან შედგება.

მთვარის ფაზები

მთვარის კალენდარი გავრცელებული იყო ძველ ჩინეთში, ინდოეთში, ბაბილონში. მთვარის კალენდარი დღესაც მოქმედებს აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში.

მთვარის მოძრაობასთან დაკავშირებულია დროის გაზომვის სხვა ერთეულიც – შვიდდღიანი კვირა. ამგვარ კვირას უკვე იყენებდნენ ძველი ჩინელები, ბაბილონელები და სხვები.

მზის კალენდარი

როდესაც ადამიანები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, გაჩნდა თესვისა და მოსავლის აღების დროის განსაზღვრის აუცილებლობა. ეს ვადები დაკავშირებული იყო წლის დროების ცვლილებასთან და მზის მოძრაობასთან. წლის დროების დადგომის განსაზღვრის აუცილებლობამ გამოიწვია მზის პირველი კალენდრების შექმნა. დრო უკვე განისაზღვრა თვეზე უფრო ხანგრძლივი მონაკვეთით – წელიწადით.

დაახლოებით 7 ათასი წლის წინ ეგვიპტელებმა შეამჩნიეს, რომ ყოველწლიურად ნილოსის ადიდებისას, მზის ამოსვლას წინ უსწრებდა ცის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის – სირიუსის (ეგვიპტურად სოთისის) – გამოჩენა. ნილოსის ადიდებას ეგვიპტელთათვის უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მასზე იყო დამოკიდებული მოსავალი.

სირიუსზე დაკვირვების მეშვეობით, ეგვიპტელებმა საკმაოდ ზუსტად განსაზღვრეს **ტროპიკული** ანუ **ასტრონომიული წლის** ხანგრძლივობა – 365 დღე და 6 საათი. წლის ამ ხანგრძლივობაზე გათვლილი კალენდრით ნილოსის ყოველწლიური ადიდება ყოველთვის ერთ დროს – ჩვენებურად 19 ივლისს იწყებოდა.

მზის ციკლების მიხედვით დადგენილი მათი კალენდარული წელი კი 365 დღეს შეადგენდა (30x12+5, თორმეტი 30-დღიანი თვე და ხუთი დამატებითი დღე). 6 საათიანი განსხვავება იწვევდა ოთხ წელიწადში ერთდღიან ცდომილებას, 120 წელიწადში – ერთთვიანს, ხოლო 1460 წელიწადში – ერთწლიანს. შესაბამისად, ეს ორი კალენდარი ერთმანეთის მიმართ მოძრავი იყო.

ქურუმები საგანგებოდ ინიშნავდნენ და დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ იმ მოვლენას, როდესაც ახალი წელი (მზის კალენდრის პირველი დღე) ნილოსის ყოველწლიური წყალდიდობის დაწყებას (ჩვენებურად19 ივლისს) ემთხვეოდა. 1460 წელიწადში ერთხელ ამ დღის დილას სოთისი და მზე ერთად გამოჩნდებოდნენ ცაზე. პერიოდის სიგრძის გამო ეს დაკვირვებები ძალზე მნიშვნელოვანია ძველი თარიღების თანამედროვე, „აბსოლუტურ“ სისტემაზე გადმოსაყვანად.

რომაული კალენდარი

რომულუსის, რომის ლეგენდარული დამაარსებლის (ძვ.წ. VIII ს.) დროს რომაელები იყენებდნენ კალენდარს, რომლითაც წელიწადი 10 თვედ იყოფოდა. თავდაპირველად თვეებს სახელები არ ჰქონდა და რიგითი ნომრებით აღინიშნებოდა. რომულუსის დროს კი შემოიღეს თვეების სახელწოდებები. მაგალითად, წელიწადის პირველ თვეს ეწოდა **მარტიუსი** – ომის ღმერთის, მარსის საპატივცემულოდ; მეორე თვეს დაერქვა **აპრილისი**. ეს სახელი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან **აპერირე**, რაც ნიშნავს „გახსნას“ – სწორედ ამ თვეში იხსნებოდა ხეებზე კვირტები. მესამე თვე მიეძღვნა ქალღმერთ **მაიას**, ღმერთ მერკურის დედას, ხოლო მეოთხე – **იუნონას**, ღმერთ იუპიტერის მეუღლეს. ამგვარად შეიქმნა მარტის, აპრილის, მაისისა და ივნისის სახელები.